

არქიტექტურის ურბანისტიკა და დიზაინი

„ფორმათწარმოქმნის თანამედროვე პარადიგმა“

„Modern paradigm of formmaking“

პროფესორი ზურაბ კიკნაძე, არქიტექტორი თამარ ტაბატაძე

Professor Surab Kiknadze, Architect Tamar Tabatadze

ანოტაცია

სამყაროს ფრაქტალური მოწყობის პრინციპის გაგება დღეისათვის ღრმად იჭრება საქმიანობის მრავალ სფეროში, მათ შორის, როგორც არქიტექტურულ-სამშენებლო ობიექტების გარესახის ფორმირებაში ასევე მათ შინაგან სტრუქტურულ ორგანიზაციაში. ქვეცნობიერის როლის მნიშვნელობის აღიარებასთან ერთად ემპირიულიდან თეორიული განზოგადებისკენ მიმართული ვექტორის - მეცნიერებიდან პრაქტიკისკენ შემობრუნებას უნდა ემსახურებოდეს ყველა მეთოდოლოგიურად გამართული სასწავლო პროგრამა. ფრაქტალური არქიტექტურულს პროპედევტიკაც სწორედ ამ პინციპს უნდა ემყარებოდეს.

Annotation

Nowadays, the understanding of basics of fractal structure is deeply intervened in many fields, including formation of external appearance of architectural-construction facilities as well as their internal structure of organization. Together with recognition of the importance of role of unconscious, from empirical theory to general vector – all well maneuvered study programs should serve to help transition from science to practice. The same should have to be a base principle of Fractal Architectural propedeutics.

ჟურნალი „მშენებლობა“ სამეცნიერო -ტექნიკური N 2 (45) 2017წ. საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“ თბილისი 2017

“Construction” Scientific Technical Magazine; Tbilisi 2017, №2(45); Publishing House "Technical University", Tbilisi, Kostava 77

„კონტურბანიზაციის პროცესზე მოქმედი ზოგიერთი ფაქტორები“

“Some factors acting on the conturbanizm process”

ქ.სალუქვაძე, ნ.კოპალიანი, თ.ბიძინაშვილი

Q. Salukvadze, N. Kopaliani, T. Bidzinashvili

ანოტაცია

სტატიაში განხილულია კონტურბანიზაციის, როგორც შეუქცევადი პროცესის გამომწვევი მიზეზები და მისი აქტუალობის საკითხები. ფართოს წარმოდგენილია კალვინ ბეილის მოსაზრება მონოგრაფიიდან, სადაც აღნიშნული იყო, რომ პირველად ქვეყნის ისტორიაში სოფლის დასახლება იზრდებოდა უფრო სწრაფად, ვიდრე ქალაქის. უფრო მეტიც, ეს ზრდა განპირობებული იყო ქალაქიდან სოფელში სუფთა შიდა მიგრაციის ზრდის შედეგად, რომელიც კომპლექსურია და ასევე განხილულია ოთხი ერთმანეთთან დაკავშირებული ფაქტორი; დასაქმების დეცენტრალიზაცია, სოფლის ცხოვრების მოდერნიზაცია, მოსახლეობის დაბერება, სოფლად ცხოვრებისთვის უპირატესობის მინიჭება.ეს ფაქტორები კონტურბანიზაციის სათავეში დგას.კონტურბანიზაციის პროცესის საერთო არგუმენტი არის ის, რომ კავშირი განვითარებასა და ურბანიზაციას შორის სუსტდება მას შემდეგ, რაც ქვეყანა მიაღწევს განვითარების მაღალ დონეს. ამის შემდეგ, პირობები ურბანულ და არაურბანულ ადგილებში თანაბარი ხდება და ის სტრუქტურული ასპექტები, რომლებიც განაპირობებს ურბანულ კონცენტრაციას შესაძლებელია დაძლეულ იქნას ტელეკომუნიკაციის, ყოველდღიური გადაადგილებისა და სხვა ტექნოლოგიური და სოციალური ცვლილებების საშუალებით, რაც დიდ მანძილზე ურთიერთკავშირისა და მოქმედების საშუალებას იძლევა.

Annotation

The article deals of Urban Development as an irreversible process and the causes of its topicality. Brotherhood represented Calvin Bailey suggested monograph, where it was stated that for the first time in the history of the rural settlement grew faster than the city. Moreover, this increase was due to net in-migration from the city to the village as a result of growth, which is complex and also discusses four

interrelated factors; Decentralization of employment, Modernization of rural life, the aging of population, rural preference minicheba.es Urban Development factors is leads first stage. Urban Development the common argument is that the link between development and urbanization are weakening after the country reaches a high level of development. After that, the urban and non-urban areas in terms of the structural aspects of the playing field becomes, which leads to urban concentration can be overcome by telecommunications, the daily movement and other technological and social change, which is a long distance interconnection and operation allows

სტუ-ი საქართველოს საინჟინრო აკადემია ბიზნეს-ინჟინერინგი - ყოველკვარტალური რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი ბიზნეს-ინჟინერინგი მშენებლობაში 1-2 2017 წელი 186გვ-189გვ

<http://business-engineering.bpengi.com/>

GTU, Academy of Georgian Konstruction Business – Engineering - Quarterly referenced journal Business Engineering in construction, 1-2 2017, 186-189 pg.

“სახელმწიფოს როლი ეკო კატასტროფების რეგულირებასა და პრევენციაში”

ქ. სალუქვაძე, თ. ბიძინაშვილი

Q. Salukvadze, T. Bidzinashvili

ანოტაცია

სტატიაში განხილულია ეკოლოგიურ გარემოში არსებული პრობლემების რეგულირების ხერხები, როგორ რეაგირებს სხვადასხვა სახელმწიფო და რაზე ამახვილებს ყურადღებას, როგორ მუშაობენ არქიტექტორები და დიზაინერები მმართველ ორგანოებთან ერთად ეკოგარემოს გაუმჯობესებაზე, რა მაგალითებს გვაძლევენ განვითარებული ქვეყნები ეკო და ბუნებრივ კატასტროფებთან გამკლავებისას, რაც მოიცავს უსფრთხო გარემოს შექმნას, პრესარეაბილიტაციო სამუშაოებს, დაზარალებული რეგიონების მოსახლეობის უზრუნველყოფას საჭირო რესურსებით და ა.შ. მათ მაგალითზე განხილულია საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა, მოყვანილია კონკრეტული მაგალითები, რაც მოუწოდებს სახელმწიფოს უფრო მეტად გააქტიურებაზე და უსაფრთხოების მიზნით რეფორმების ჩატარებაზე. არქიტექტურის ეკოლოგიზაცია ერთ-ერთი პრიორიტეტია, საჭიროა საქართველოში ეკოარქიტექტურის დანერგვა, საზოგადოების ონლაინ აპლიკაციებით, სხვადასხვა ღონისძიებების დაგეგმვით უფრო მეტად გააქტიურება და გარემოზე ერთობლივი ზრუნვა.

Annotation

Government's one of the main obligation is to prevent Eco and Natural disasters, which are daily increasing. The article shows how government strategies, policies and services related to prevention in Progressive countries are greatest examples to follow. Preparedness and recovery are important in countries like Georgia, where Effective — and cost-effective — disaster reduction must be grounded in a thorough understanding of the physical forces a community faces and their likely impacts on the human, built, and natural environment.

სტუ-ი საქართველოს საინჟინრო აკადემია ბიზნეს-ინჟინერინგი - ყოველკვარტალური რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი ბიზნეს-ინჟინერინგი მშენებლობაში# 3, 2017 წ.38გვ-40გვ.

GTU, Academy of Georgian Konstruction Business – Engineering - Quarterly referenced journal Business Engineering in construction, 3, 2017, 38-40pg.

ტრადიციის პრობლემა პოსტფუნქციონალიზმის პერიოდში
Problem of tradition in the period of Postfunctionalism

პროფესორი ვ. დავითაია დოქტორანტი ა. ბიბილაშვილი
Professor V. Davitaia; Doctoranr A. Bibilashvili

რეზიუმე

XX საუკუნის 60-იანი წლებიდან, „ფუნქციონალიზმი“, („ახალი არქიტექტურა“, „მოდერნიზმი“), რომელიც ერთპიროვნულად მართავდა მსოფლიოს არქიტექტურას და ორმოცი წლის მანძილზე შეძლო სამყაროს არქიტექტურული ერთფეროვნების შექმნა, კარგავს თავის ძლევამოსილებას და იწყებს არსებობის გახანგრძლივების გზების ძიებას. თუ საწყის პერიოდში ფუნქციონალიზმი კონცეპტუალურად უარყოფდა ტრადიციას, ისტორიას, წვავდა ხიდებს წარსულისკენ, ხდება უფრო შემრიგებლური და თავის წიაღში კარს უხსნის რეგიონალურ ფაქტორებს. გამოიკვეთა კონცეპტუალური მიდგომა ტრადიციისადმი. ის პრინციპულად განსხვავებული იყო წინა საუკუნის მიდგომებისაგან, როდესაც „ეროვნულობა“ მატერიალური კულტურის ძეგლის ინტერპრეტირება - პერეფრაზს ემყარებოდა. წარმოჩნდა

არამატერიალური კულტურის პრიმატი - ერის მენტალობა, ტრადიციები, „ადგილის სული“, განწყობილება, ლეგენდა, პოეზია, ხალხური შემოქმედება, დეკორატიული ხელოვნება, ფოლკლორი და სხვა. ასეთი იყო ზოგადი ტენდენცია, რომელიც განსხვავებული სახით ვლინდებოდა ცალკეულ ქვეყნებში.

Resume

From the XX century “Functionalism” (New architecture, Modernism) universally managed world architecture and for forty years it was able to create architectural monotony in the world. It loses power and begins to find the ways to continue its existence. If in the initial period Functionalism conceptually denounced tradition, history and burned the bridges connecting to the past, it becomes more conciliatory and opens its doors to regional factors. It was revealed conceptual approach to tradition. It was principally different from the approach of the past years, when nationality was based on the simply interpreting of material cultural monuments. It was shown immaterial cultural factors, such as mentality of nation, traditions, “soul of place”, mood, legend, poetry, folk creations, decorative art, folklore, and others.

Such was the general tendency, which revealed in the different ways in each country.

სტუ - ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის სამეცნიერო კონფერენცია: “თბილისის არქიტექტურის და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები“ სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი #7; 21 მაისი 2017 წ.

GTU, Scientific conference Architecture, Urban Planning and Design Faculty: Modern problems of Architecture and Town Planning; Scientific and Technical Magazine №7; 2017, Tbilisi, M. Kostava 77

საცხოვრებელი სახლების დაპროექტების ნორმების შესაქმნელად

Regarding Establishing Norms for Residential House Designs

პროფესორი ნ. თევზაძე, ასოცირებული პროფესორი ქ. ბერეკაშვილი

Professor N. Tevzadze, Associate Professor Q. Berekashvili

რეზიუმე

სტატიაში დასმულია საცხოვრებელი სახლების დაპროექტების ნორმების შექმნის საკითხი, რაც მჭიდრო კავშირში იმყოფება საქართველოს დამოუკიდებლობასა და არქიტექტურის ეროვნულობასთან.

წარმოდგენილია უნიკალური ქართული ეროვნულ ტრადიციების საფუძველზე დაყრდნობით საცხოვრებელი სახლების და კომპლექსების, კეთილმოწყობის ანალიზი მათი განზოგადება, მახასიათებლების გამოვლენა და რეკომენდაციების შემუშავება შემდგომი პერსპექტიული მშენებლობისთვის.

ამ თვალსაზრისით დღევანდელ ეტაპზე შესწავლილია საცხოვრისის სახეობა „ოდა სახლი“, სადაც ყველა მისი შემადგენელი კომპონენტი დეტალურად არის განხილული. ასევე სრულყოფილად წარმოდგენილია რეკომენდაციები მონაცემთა ბანკის შესაქმნელად.

შეთავაზებულია პრობლემაზე მუშაობის მეთოდიკა, რაც გულისხმობს დაინტერესებული ექსპერტების გაერთიანებას საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალის გარშემო.

Resume

There is reviewed the issue of establishing specific norms for designing residential houses, that are interlaced with the independence of Georgia and consequently of national architecture.

The analysis and generalization of a lay-out of particular building complexes, houses and amenities in the country are presented, with the objective of revealing their characteristics and developing recommendations for perspective design.

From that perspective, at this stage, a folk type residential dwelling referred to as „Oda House“ is reviewed. All of its details are carefully analyzed, and recommendations are made for establishment of a database.

There, a methodology of working on the issue. It involves the collaboration of interested specialists by the means of scientific-technical Journal led by the department of architecture, urbanistics and design of the Georgian Technical University.

სტუ - ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის სამეცნიერო კონფერენცია:“თბილისის არქიტექტურის და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები“ სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი #7; 2017 წ. თბილისი, მ. კოსტავას 77

GTU, Scientific conference Architecture, Urban Planning and Design Faculty: Modern problems of Architecture and Town Planning; Scientific and Technical Magazine №7; 2017, Tbilisi, M. Kostava 77

“საზოგადოებრივი ცნობიერების ეკოლოგიზაცია”

“Greening of public consciousness”

პროფესორი გ. სალუქვაძე

Professor G. Salukvadze

ანოტაცია

რეალობა გვჩვენებს, რომ ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტა შეუძლებელია, თუ არ შეიცვალა ბუნების მიმართ ტრადიციული დამოკიდებულებების ნორმები და ზნეობრივი პრინციპები, კერძოდ თუ არ ამაღლდება თითოეული ადამიანის სოციალური პასუხისმგებლობა ბუნებაზე მისი ზემოქმედების შედეგად გამოწვეულ საქმიანობაზე, ანუ წინა პლანზე უნდა წამოვიწიოთ საზოგადოების ეკოლოგიური ცნობიერებისა და კულტურის დონის ამაღლება.

Annotation

Reality indicates, that environmental problems cannot be solved if appropriate moral principles and traditional attitudes towards the nature are not changed, if there is not increased social responsibility of each person for activities affecting the nature, therefore actually raising public consciousness of environmental issues and relevant culture are of great importance.

სტუ - ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის სამეცნიერო კონფერენცია:“თბილისის არქიტექტურის და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები“ სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი #7; 2017 წ. თბილისი, მ. კოსტავას 77

GTU, Scientific conference Architecture, Urban Planning and Design Faculty: Modern problems of Architecture and Town Planning; Scientific and Technical Magazine №7; 2017, Tbilisi, M. Kostava 77

“ფრაქტალური სტრუქტურები ქალაქგეგმარებაში”

Fractal structures in urban planning

არქიტ. აკადემიური დოქტორი თ. ტაბატაძე

PhD in Architect T. Tabatadze

ანოტაცია

ნებისმიერი განაშენიანების ურბანული ქსოვილი თავისი სისტემური იერარქიულობის გამო ფრაქტალურ სტრუქტურას წარმოადგენს. „სასურველი“ რეგულარული წყობისა და სხვადასხვა ხასიათის ქაოტური ზემოქმედების შედეგად ყალიბდება რეალური ქალაქები, აგლომერაციები თუ უფრო მცირე განსახლების ობიექტები. ფრაქტალური ხედვა და ქაოსის თეორია თანამედროვე კვლევისა და პროგნოზირების ახლებურ ინსტრუმენტად გვევლინება.

Anotation

Urban fabric of any plant is a fractal structure due to its systemic hierarchy. As a result of the "desirable" regular order and chaotic influence of different nature, real cities, agglomerations or smaller accommodation facilities are formed. Fragmentary vision and chaos theory is a modern instrument of modern research and prediction.

სტუ - ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის სამეცნიერო კონფერენცია: “თბილისის არქიტექტურის და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები“ სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი #7; 2017 წ. თბილისი, მ. კოსტავას 77

GTU, Scientific conference Architecture, Urban Planning and Design Faculty: Modern problems of Architecture and Town Planning; Scientific and Technical Magazine №7; 2017, Tbilisi, M. Kostava 77

„მოცულობითი არქიტექტურული გრაფიკა, როგორც არქიტექტურული პროექტირების მეთოდი“

VOLUMETRIC ARCHITECTURAL GRAPHIC ART AS A METHOD OF ARCHITECTURAL DESIGNING.

პროფესორი ზ. ტიტვინიძე

Professor Z. Titvinidze

ანოტაცია

სტატიაში განხილულია სივრცითი აზროვნების და მისი ძირითადი მექანიზმის, წარმოსახვითი ქმედების როლი არქიტექტურული პროექტირების შემოქმედებით პროცესში ზოგადად და უმაღლესი არქიტექტურული განათლების სასწავლო პროცესში კონკრეტულად.

ქართული არქიტექტურული ტერმინოლოგიის მოწესრიგების მიზნით, პირველად არქიტექტურული პროდუქტის ვიზუალიზაციის ინსტრუმენტი, „არქიტექტურული გრაფიკა“, დიფერენცირებულია სიბრტყით და მოცულობით შემადგენლებად.

ჩამოყალიბებულია და განმარტებულია „მოდელირების“ და „მოდელის“, „მაკეტირების“ და „მაკეტის“ განსაზღვრება. არგუმენტირებულია „პლასტიკური არქიტექტურული მოდელირების“ მეთოდით წარმოსახვით-სივრცითი არქიტექტურული სახეების ვიზუალიზაციის უპირატესობა ხაზოვან არქიტექტურულ გრაფიკასთან შედარებით.

გამოთქმულია აზრი, რომ პლასტიკური არქიტექტურული მოდელირება, როგორც არქიტექტურული გრაფიკის შემადგენელი ნაწილი, წარმოადგენს არქიტექტურული სპეციალობის ერთ-ერთ წამყვან, სავალდებულო დისციპლინას, და რომ დამოკიდებულება ამ საგნისადმი, ძირეულად უნდა შეიცვალოს სწავლების როლისა და მასშტაბის გაზრდის თვალსაზრისით.

Annotation

The article deals with spatial thinking and the role of its main mechanism, imaginary action in the creative process of architectural designing.

In order to organize architectural terminology in the Georgian language, the visualization instrument of the architectural product, “architectural graphic arts” has been differentiated as flat and volumetric constituents.

The article provides definitions of “modeling” and “models”, “maquetting” and “maquette”. It demonstrates the advantage of visualization of imaginary-spatial architectural images by means “plastic architectural modeling” over the linear architectural graphic arts.

An opinion is expressed, that plastic architectural modeling, as the integral part of architectural graphic arts represents one of the leading mandatory teaching discipline of the architectural specialty and that the attitude towards this subject should be dramatically changed in terms of increasing its role and scope.

სტუ - ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის სამეცნიერო კონფერენცია: “თბილისის არქიტექტურის და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები” სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი #7; 2017 წ. თბილისი, მ. კოსტავას 77

GTU, Scientific conference Architecture, Urban Planning and Design Faculty: Modern problems of Architecture and Town Planning; Scientific and Technical Magazine №7; 2017, Tbilisi, M. Kostava 77

დაავადებული შენობების სინდრომის შესახებ

The syndrome of sick buildings

აკადემიკოსი ა.ფრანგიშვილი, პროფესორი გ. სალუქვაძე, დოქტორანტი ლ. პირველი

Academician A. Prangishvili, professor G. Salukvadze, Doctoral student L. Pirveli

ანოტაცია

ხშირად ვლავარაკობთ ჩვენს გარშემო მყოფ არასასურველ გარემოზე, რადგან მიგვაჩნია რომ გარემოს დაბინძურების ძირითადი საშიშროება მოდის ატმოსფერული ჰაერის, წყლის, ნიადაგის, კვების პროდუქტების დაბინძურებიდან. ამ დროს მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის გარემოება, რომ ადამიანი თავისი დროის უმეტეს ნაწილს, სწორედ დახურულ სივრცეში ატარებს. ის, თუ როგორ ეკოლოგიურ გარემოში უწევს მას ცხოვრება, როგორია სივრცის ეკოლოგიური სისტემა, განსაზღვრავს ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობას.

რა ხდება ამ მხრივ ჩვენთან?

- სამწუხაროდ ეს საკითხი ჯერ-ჯერობით შეუსწავლელია და თანაც იმ ფონზე, როდესაც დღევანდელი ჩვენი სახელმწიფოს ბაზარი გაჯერებულია რისკის შემცველი არაეკოლოგიური მასალებით, რომ არაფერი ვთქვათ მშენებლობის კატეგორიაზე, ექსპლუატაციის დონეზე, არაჯანსაღ გეგმარებაზე და ა.შ.

წინამდებარე სტატია „დაავადებული შენობების სინდრომის შესახებ“ სწორედ თანამედროვეობის ამ მნიშვნელოვან პრობლემას ეძღვნება.

Annotation

According to experts of the world health organization, a city resident spends almost 95% of his time on the premises. Therefore, the degree of ecological compatibility of the internal and external environment of the building is among the factors, that significantly affect on health.

Already about 20 years in the world there is such concept as „a syndrome of sick buildings“. scientists - hygienists have come to a conclusion long ago, that many diseases are defined by quality of living conditions.

სტუ - ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის სამეცნიერო კონფერენცია:“თბილისის არქიტექტურის და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები“ სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი №7; 2017 წ. თბილისი, მ. კოსტავას 77

GTU, Scientific conference Architecture, Urban Planning and Design Faculty: Modern problems of Architecture and Town Planning; Scientific and Technical Magazine №7; 2017, Tbilisi, M. Kostava 77

საქართველოს სივრცითი მოწყობის-განსახლების პირველი(1979) რეგიონალური
სქემა

Regional Chart of Resettlement of Georgia

არქიტექტორი ვ.ფრანგიშვილი

Architect V.Phrangishvili

ანოტაცია

ქვეყნის სივრცითი მოწყობის პირველი დოკუმენტი - საქართველოს განსახლების რეგიონული სქემა დამუშავდა ს. ი. „საქალაქმშენსახპროექტი“ 1979 წელს. ქართული საზოგადოებრივების აღნიშნული სქემა უცნობია სხვადასხვა მიზეზის გამო. სტატიაში გაშუქებულია საქართველოს განსახლების სქემის თანაავტორის მიერ წარმოდგენილი ძირითადი დებულებების ანალიზი, რაც შეიძლება ჩაითვალოს ნაშრომის შედეგად.

Anotation

Regional Chart of Resettlement of Georgia – first document of the country’s spatial arrangement - was developed in the Project on City Building of Georgia (Sakkalakmshensakhproekti), in 1979. For certain reasons, this scheme is not known to the Georgian society. The article covers the analysis of the main provisions presented by the co-author of the Resettlement Scheme, which can be considered as a result of the work.

სტუ - ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის სამეცნიერო კონფერენცია:“თბილისის არქიტექტურის და ქალაქმშენებლობის თანამედროვე პრობლემები“ სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი #7; 2017 წ. თბილისი, მ. კოსტავას 77

GTU, Scientific conference Architecture, Urban Planning and Design Faculty: Modern problems of Architecture and Town Planning; Scientific and Technical Magazine №7; 2017, Tbilisi, M. Kostava 77

ჩამხუსის ტეტრაკონქი

(არქიტექტორის გეომეტრიული აზროვნება)

Chamkhmusi Tetraconch

(Geometric concepts of Architecture)

პროფესორი გ. ყიფიანი
Professor G Kipiani

ანოტაცია

ძეგლი მდებარეობს ტაო-ოლთისის რეგიონში, ბანას ცნობილი ტეტრაკონქის სიახლოვეს. ძეგლი მხოლოდ პირობითადაა დათარიღებული VIII-IX სს-ით და იგი მხოლოდ გეგმის დონეზე იკითხება, ზოგი მკვლევარი მასთან პარალელს მცხეთის ჯვრის ტიპის ძეგლებთან ავლებს. ეს მართლაც ასეა ზოგიერთი ნიშნით და ჯვრის ტაძარს უახლოვდება სივრცის დიაგონალური განვითარებით და გეგმის „ფერწერულობით“.

მისი გარშემოწერილობა, დიდ თუ მცირე, 32 წახნაგს ფლობს, ანუ წრის 4,8,16 და ა.შ. დანაწევრების სისტემას. თუ საქართველოში გავრცელებულ მცხეთის ჯვრის ტაძრებს გადავავლებთ თვალს, ნათელი ხდება, რომ მისი საწყისი გრაფიკა - თავისუფალი ჯვარი დიაგონალური განვითარებით, ყველგან შენარჩუნებულია საწყისი სქემით, ანუ მისი ვარდულისებური ასახულობით, განსხვავებით სომხური, ერთი შეხედვით, ამავე ტიპის ნაგებობებისაგან, სადაც ყველა მათგანი უგამონაკლისოდ მკაცრადაა სწორკუთხედში ჩაწერილი. მაგრამ განსხვავებანიც მრავლადაა ასახული: ჩამხუსის ტეტრაკონქის ამოსავალი გეომეტრიული სახე

კვადრატია (და არა სწორკუთხედი, გვერდების შეფარდებით 3:4, როგორც ჯვრისა და რიფსიმეს ტაძრებშია დადასტურებული) და ჯვრისებური გეგმა ვითარდება ჯერ ექსედრებით და შემდეგ ექსკვუთხა კომპარტიმენტებით. ეს განვითარება მკაცრად დიაგონალურია, განსხვავებით ჯვრის ტიპის ტაძრებისაგან, სადაც „სვასტიკა“ აშკარად შეიმჩნევა. ასევე გუბათი აქ თითქმის ყოვლისმომცველია და იმდენად, რომ მან ბემაც კი მოსპო აბსიდების წინ. მისი გარეგნული ასახულობა, რომელიც შეიძლება მხოლოდ წარმოვიდგინოთ, მთლიანად პასუხობს სივრცეს და მის დანაწევრებას.

ალბათ, არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ აქ სივრცისათვის არქიტექტორი იყენებს ფარგლის გეომეტრიის პრინციპს, რაც ესოდენ დამახასიათებელი იყო გვიანანტიკური ე. წ. იმპერატორ ჰადრიანეს არქიტექტურული სტილია. ამასთანავე არქიტექტორი ფლობს კვადრატის შიგა, დიაგონალური განვითარების სქემას დინამიკურ სწორკუთხედებად და გარე მასებს მათთვის დამახასიათებელი პროპორციული სისტემებით ქმნის.

თარიღზე ძეგლის დეტალური შესწავლის გარეშე არაფრის თქმა შეიძლება, მაგრამ ჩამოთვლილი ნიშნები იმას მიანიშნებს, რომ იგი მჭიდროდაა დაკავშირებული გვიანანტიკური ხანის ხუროთმოძღვრებასთან, უნდა გავითვალისწინოთ მისი სამი მხრიდან ფართე აფსიდალური კარიბჭეებიც.

Annotation

The monument is located in Tao-Oltisi region, near the well-known Bana Tetraconch, conventionally dating back to the VIII-IX Centuries. Nowadays, it is perceptible as a plan only. The researchers parallelize it with the monuments, such as Jvari Monastery in Mtskheta, which is correct, because some of its features are similar to Jvari monastery in terms of diagonal development of the space and its “pictorial” plan.

Its circumference takes large and small 32 facets i.e. 4,8,16 partitioning system of the circle. If we review the popular (Mtskheta) Jvari type temples in Georgia there is no doubt, that its original graphics – a free cross with diagonal development e.i Rosette representation, is maintained everywhere, unlike Armenian ones, which are seemingly the similar buildings, all of which without exception are strictly represented in rectangles.

There are many differences though: a primary geometric face of Chamkhusi Tetraconch is a geometric square (and not a rectangular one, the aspect ratio is 3: 4, which is evidenced by Jvari and Hripsime churches) and a cross-like plan is initially developed through exedras

and then through hexagon compartments. This development is strictly diagonal, in contrast to Jvari type churches, where “swastikas ” are quite noticeable. As for the dome, it is so encompassing, that it had even removed bema in front of apses. Its appearance, which is now only imaginable for us totally matches the space and its partition.

Perhaps it seems safe to say that here, for the sake of space, an architect uses the principle of compass geometry, which was so inherent for the late antique period i.e emperor Hadrian’s architectural style. At the same time, the architect maintains the inner diagonal square, through dynamic rectangles, creating outer masses through typical proportional systems.

Without the thorough exploration there is little to be said about its date, though the characteristics listed above surely indicate, that it is closely related to the late antique architecture. The wide apsidal gates surrounding it on three sides should be taken into account as well.

სტუ - ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის სამეცნიერო კონფერენცია:“თბილისის არქიტექტურის და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები“ სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი #7; 2017 წ. თბილისი, მ. კოსტავას 77

GTU, Scientific conference Architecture, Urbun Planing and Design Faculty: Modern problems of Architecture and Town Planing; Scientific and Technical Magazine №7; 2017, Tbilisi, M. Kostava 77

 ლისაბონისა და თბილისის ორი ისტორიული უბნის შედარებითი
 ანალიზი (ბაირუ-ალტუ, სოლოლაკი)

The comparative analysis of two historical districts in Lisbon and Tbilisi
 (Bairro Alto, Sololaki)

ასოცირებული პროფესორი მ. ძიძიგური

Associated Professor M. Dzidziguri

Annotation

The urban and architectural characters of two historical districts of Lisbon and Tbilisi (Bairro-Alto and Sololaki) are compared in the article in terms of their vitality, functionality and integration into a modern city. The analysis is done on the basis of characteristic of each neighborhoods history, urban planning, development, problem description and finally some conclusions are presented.

ანოტაცია

სტატიაში ლისაბონისა და თბილისის ორი ისტორიული უბნის ბაირუ-ალტუსა და სოლოლაკის შედარებითი ანალიზია წარმოდგენილი მათი სიცოცხლისუნარიანობის, ფუნქციონირებისა და თანამედროვე ქალაქში ინტეგრაციის თვალსაზრისით. ანალიზი ეფუძნება თითოეული უბნის ისტორიის, ქალაქგეგმარების, განაშენიანების, პრობლემების განხილვას. საბოლოოდ წარმოდგენილია სათანადო დასკვნები.

სტუ - ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის სამეცნიერო კონფერენცია:“თბილისის არქიტექტურის და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები“ სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი №7; 2017 წ. თბილისი, მ. კოსტავას 77

GTU, Scientific conference Architecture, Urban Planing and Design Faculty:: Modern problems of Architecture and Town Planing; Scientific and Technical Magazine №7; 2017, Tbilisi, M. Kostava 77

ა. პუშკინის ქუჩის რეაბილიტაციის შედეგების ანალიზი
The results of A. Pushkin street and Liberty square rehabilitation.

ასოცირებული პროფესორი მ. ძიძიგური
დოქტორანტი მ. მასხი

Asosiet professor M. Dzidziguri
Doctoral student M. Meskhi

ანოტაცია

თბილისის ისტორიულ უბნებში, ბოლო წლების განმავლობაში მომრავლებული ახალმშენებლობისა თუ ჩატარებული სარეაბილიტაციო სამუშაოების ფონზე, აქტუალური გახდა ძველი უბნების თვითმყოფადობის, ისტორიულად ჩამოყალიბებული განაშენიანების დაცვის საკითხი.

ამ თვალსაზრისით სტატიაში განხილულია ა. პუშკინის ქუჩისა და თავისუფლების მოედნის ტერიტორიაზე „ფსევდოისტორიული“ სტილების პოსტმოდერნისტული განაშენიანების მასშტაბის შესაბამისობა გარემოსთან, მისი დადებითი და უარყოფითი გავლენა ისტორიული უბნის სივრცით-მოცულობით და არქიტექტურულ – მხატვრულ ღირებულებებზე.

Annotation

Recently, in the historic districts of Tbilisi, against the background of building new houses and rehabilitation of the old ones, it became urgent to protect the identity of the old quarters and historically formed settlements.

From this point of view is discussed the street of Al. Pushkin and Liberty square-built in the current century monumental group of buildings. Also there is discussed the correspondence of postmodernist development scale with environment, its (historical) eligibility or negative and positive impact on historical territory and architectural values.

სტუ - ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის სამეცნიერო კონფერენცია:“თბილისის არქიტექტურის და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები“ სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი #7; 2017 წ. თბილისი, მ. კოსტავას 77

GTU, Scientific conference Architecture, Urban Planning and Design Faculty: Modern problems of Architecture and Town Planning; Scientific and Technical Magazine №7; 2017, Tbilisi, M. Kostava 77

Architectural propedeutics and computer technology

ასოც. პროფესორი თ. ჩიგოგიძე, არქიტექტორი ზ. ყარალაშვილი
Associate professor T. Chigogidze, Architect Z. Kharalashvili

ანოტაცია

არქიტექტურა აერთიანებს ხელოვნებას, მეცნიერებას და ტექნიკას, რომლებიც აკუმულირდება არქიტექტურულ ნაწარმოებში. თუ ადრე არქიტექტურული ნაწარმოები მხატვრული და სამეცნიერო შემოქმედების ნაზავს წარმოადგენდა, ახლა დადგა დაპროექტების უნივერსალური ტექნოლოგიების ერა, საყოველთაო კომპიუტერიზაციის ბაზაზე. არქიტექტურული ინფორმატიკის სულ უფრო და უფრო სწრაფმა და ინტენსიურმა შეჭრამ პროექტირების ყველა სფეროში დაგვარწმუნა, რომ საჭიროა ობიექტების მშენებლობისა და პროექტირების პროცესებში არქიტექტორის როლის შეცვლა და ახლებული გააზრება, და შესაბამისად - არქიტექტურული სკოლის საქმიანობის სრულყოფა ცხოვრებისეული რეალიებისა და ტენდენციების ცვლილებების გათვალისწინებით.

CAD საპროექტო სისტემების განვითარება ითვალისწინებს მათემატიკური ინსტრუმენტების გამოყენებით არქიტექტურული ფორმების ორ და სამგანზომილებიანი გეომეტრიით აღწერასა და ოპერირებას, მაგრამ პრობლემა მდგომარეობს არქიტექტურული ფენომენის არსის თვისებათა ფორმალიზაციის საკითხების გადაწყვეტაში. დღეს არქიტექტურული ინფორმატიკა არ ცვლის არქიტექტორს, იგი მხოლოდ არქიტექტურული ობიექტების მოდელირების ძლიერი ინსტრუმენტია. ახალი სასწავლო პროგრამები ხელს უნდა უწყობდეს ისეთი მეთოდის დანერგვას, რომელიც მოიცავს კომპლექსურ მიდგომასა და ინფორმაციულ მოდელირებას, მაგალითად ისეთის, როგორცაა სპეციალიზებული ინფორმაციული მოდელირების სისტემა (BIM) Revit Architecture, რომელიც არქიტექტორებს შენობათა პროექტირების ინტუიტიურად გასაგებ, მძლავრ საშუალებას სთავაზობს.

CAD და BIM სისტემები არ განიხილება როგორც მხოლოდ გრაფიკული საშუალებები, ისინი პროექტირების ორგანიზაციის, ოპტიმიზაციის, ტესტირებისა და მართვის უმძლავრესი თანამედროვე ინსტრუმენტარია.

Annotation

Architecture combines art, science and technology, which is accumulated in the architectural work. Until now, architectural work was a synthesis of scientific and artistic

creativity, but the universal era of designing has now come, based on the general computerization. Rapid and intense occurrence of architectural science in all areas of design convinced us, that modification of the process of design and construction and accordingly – a new understanding of the role of the architect, as well as improvement of the architecture school is necessary, considering the realities of life changes and tendencies.

Development of CAD design systems means to describe and manipulate architectural forms in two- and three-dimensional geometry using mathematical tools. But the problem consists in addressing the formalization of properties of architectural phenomenon. Today, architectural informatics does not replace the architect; it's just a powerful tool of modeling of architectural objects. New training programs should facilitate the introduction of such techniques, which contain an integrated approach and implementation of information modeling, such as a specialized information system modeling (BIM) Revit Architecture, which offers architects intuitively clear, powerful way of designing.

CAD and BIM packages not regarded only as graphics systems, they are instruments of the organization, optimization, testing and management of project work.

სტუ - ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის სამეცნიერო კონფერენცია:“თბილისის არქიტექტურის და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები“ სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი #7; 2017 წ. თბილისი, მ. კოსტავას 77

GTU, Scientific conference Architecture, Urban Planning and Design Faculty: Modern problems of Architecture and Town Planning; Scientific and Technical Magazine №7; 2017, Tbilisi, M. Kostava 77

პოლიცენტრიზმი, როგორც თბილისის მიწათსარგებლობის
გენერალური გეგმის დოქტრინა

Polycentrism as a Doctrin for Tbilisi land-use general Plan.

პროფესორი გ. შაიშმელაშვილი

Professor G. Shaishmelashvili

ანოტაცია

განიხილება ურბანული განვითარების თანამედროვე ეტაპზე თბილისის ქალაქგანვითარების მონოცენტრული მოდელიდან პოლიცენტრიზმზე გადასვლის აქტუალური საკითხი. ჭარბი სატრანსპორტო და სოციალური დატვირთვების ისტორიულ ცენტრში კონცენტრირება, როგორც თბილისის მონოცენტრული განვითარების უკიდურესი ნეგატიური გამოვლინება განაპირობებს დისბალანსს ცენტრსა და პერიფერიას შორის.

შექმნილ ვითარებაში, მონოცენტრიზმის არსებულმა მოდელმა ისტორიული ცენტრის კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის განადგურების ინსტრუმენტის მნიშვნელობას იძენს.

თბილისის ურბანული პოლიტიკის პრიორიტეტებად უნდა იქცეს თბილისის ცენტრის გარეთ, თბილისსა და თბილისის აგლომერაციაში ახალი ინოვაციური მაღალტექნოლოგიური ბიზნეს კლასტერების შექმნა. ასეთი კლასტერების ფორმირება განაპირობებს: ერთი მხრივ, დედაქალაქის ისტორიული ცენტრის სატრანსპორტო ნაკადებისაგან მნიშვნელოვან განტვირთვას, მეორე მხრივ, უზრუნველყოფს ქალაქის პერიფერიის მაცხოვრებელთა ცხოვრების ხარისხის ამაღლებას.

Annotation

In the frame of Tbilisi urban development active discussion is going on transportation of Tbilisi from monocentric city to polycentric one.

Excess transport and high concentration of social loads in the historical center, as as the extremely negative expression of monocoteric development of Tbilisi causes the imbalance between the center and the suburbs.

Current situation, actual model of monocentricity is becoming a device to destroy the cultural and natural heritage of the historical center.

Tbilisi Urban Policy priorities should be the creation of new innovative high-tech business clusters outside the Tbilisi Center, Tbilisi and Tbilisi agglomeration.

The development of such clusters, on the one hand, will significantly reduce the traffic flow in the historical center of the capital, and on the other hand, will raise the quality of life of the city's suburbs.

სტუ - ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის სამეცნიერო კონფერენცია:“თბილისის არქიტექტურის და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები“ სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი #7; 2017 წ. თბილისი, მ. კოსტავას 77

GTU, Scientific conference Architecture, Urban Planning and Design Faculty: Modern problems of Architecture and Town Planning; Scientific and Technical Magazine №7; 2017, Tbilisi, M. Kostava 77

ბიოკლიმატური პრინციპები თანამედროვე არქიტექტურაში

– ამერიკული გამოცდილება

ასოცირებული პროფესორი მ. ჯავახიშვილი, ასისტენტ პროფესორი ბ. თინიკაშვილი

Bioclimatic principles of modern architecture - American experience

Associate professor M. Javakhishvili, Assistant professor B. Tinikashvili

ანოტაცია

ბიოკლიმატური არქიტექტურის ძირითადი ამოცანაა ადამიანისთვის ისეთი კომფორტული გარემოს შექმნა, სადაც მაქსიმალურად გათვალისწინებული იქნება ბუნებრივი ფაქტორები. საპროექტო მეთოდოლოგიის თვალთახედვით ბიოკლიმატური მიდგომა განსაზღვრულია, როგორც სახლის დაპროექტების კრიტერიუმის წყარო. ადგილი, გარემო და ორიენტაცია განსაზღვრავს თუ როგორ უზრუნველვყოთ უკეთესი დაცვა და ბუნებრივი პირობების (მზის, ქარის და სითბოს წყაროების) გამოყენება.

განხილულია ბიოკლიმატური საცხოვრებელი სახლები ყველა ხელმისაწვდომი ტექნოლოგიებისა და ეკო-არქიტექტურის პრინციპების გამოყენებით ამერიკელი არქიტექტორების პრაქტიკიდან (ფ.ლ. რაიტი, ლუის კანი, ლ. ხელპრინი და სხვა).

თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებები მიისწრაფვიან ფართო მოხმარებისკენ ნებისმიერ გარემოში. მათი გამოყენების ინტენსიურობა განისაზღვრება ბუნებრივ-კლიმატური ფაქტორებით და ობიექტის მოცულობით-სივრცული კომპოზიციით. შენობის ტექნოლოგიური საშუალებები უზრუნველყოფს მის ენერგოეფექტურობის პრობლემის წარმატებით გადაწყვეტას. მზის და ქარის დანადგარების მარგი ქმედების კოეფიციენტის ეფექტურობისთვის, აუცილებელია შენობისა და მისი მიმდებარე გარემოს დაპროექტებისას ბიოკლიმატური პრინციპების საფუძვლების

Annotation

The planning methodology defines bioclimatic approach as a basic criterion for house design. The place, environment and orientation determine how to provide better protection and better use of natural conditions (sun energy, wind and heat sources). To confirm the foregoing this article presents examples of foreign architecture - modern bioclimatic houses which use high technologies and are based on the ecological principles.

From Ancient times, houses were building according to the native climate and location. We present some examples of historical folk architecture models (Mesa Vedre, Pueblo, Tipi, Wigwam), as well as bioclimatic living houses based on the principles of all available technologies and eco-architecture, according to practices of American Architects (F. L. Wright, Louis Kahn, L. Chelprine and others.)

The means of modern technologies strife for extensive use in every environment. The intensity of their use is determined by the natural-climate factors, as well as by the volume and spatial composition of an object. Building technologies enables the successful solvation of problems regarding the energy efficiency. While projecting, it is important to consider the foundations of bioclimatic principles for the efficiency of sun and wind installations. While projecting passive sun building, for a person's comfort, the optimal amount of heat must be estimated. The main goal of the Bioclimatic Architecture is to create an environment for people, where the natural factors will be forseen.

ამერიკისმცოდნეობის XVIII საერთაშორისო კონფერენცია

The 18th Annual International Conference on American Studies

მდგრადი ავეჯის დიზაინი - როგორც ეკოლოგიური მდგრადობის შენარჩუნების
ფაქტორი(ამერიკული გამოცდილება)

Sustainable furniture design – the way to maintain ecological sustainability

ასოცირებული პროფესორი ნ. ქოჩლაძე

Associate professor N. Khochladze

ანოტაცია

"გარემოსადმი პასუხისმგებელ დიზაინში" იგულისხმება მდგრადი დიზაინი და მწვანე დიზაინი. ამ ორ ტერმინს ხშირად მონაცვლეობით ხმარობენ, თუმცა მათ შორის მცირე განსხვავება მაინც არსებობს. მწვანე დიზაინი გულისხმობს დიზაინს, რომელიც ადამიანების ჯანმრთელობას და კეთილდღეობას იცავს, ხოლო მდგრადი დიზაინი ასევე გარემოსა და მსოფლიო ეკოსისტემებს იცავს მომავალი თაობებისთვის. მდგრადი დიზაინი – ეს არის ცალკეული ობიექტების შექმნის, ან გარემოს კომპლექსური აგების ფილოსოფია, რომელიც ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური მდგრადობის პრინციპებზეა დაფუძნებული. მდგრადი განვითარების მანიფესტი მოიცავს ალუდგენელი ბუნებრივი რესურსების გამოყენების აკრძალვას, წარმოებისას გარემოზე მინიმალურ ზეგავლენას, ხაზს უსვამს ადამიანის და ბუნების უწყვეტ კავშირს. ეს ფილოსოფია ესადაგება როგორც "მიკროკოსმ"-ს – საყოფაცხოვრებო მცირე საგნების პროექტირებას, ასევე "მაკროკოსმ"-ს – მთელი ქალაქების პროექტირებას, ადამიანის საცხოვრებელი გარემოს ფორმირებას, რაც, ასე თუ ისე, დედამიწის ბუნებრივ ლანდშაფტს ცვლის. მდგრადი განვითარების საფუძვლები გამოიყენება დიზაინის ბევრ სფეროში, როგორცაა არქიტექტურა, ლანდშაფტური დაგეგმარება, ქალაქგეგმარება, გრაფიკული დიზაინი, აგრეთვე ინტერიერის და ავეჯის დიზაინში. ამდგრადი ავეჯის შექმნაზე აქტიურად მუშაობენ ამერიკელი დიზაინერული კომპანიები: ურბან ვუდს, ვერმონტ ვუდ სტუდიოს, ეკოვეტ, ურბანგრინ, სუსთეინებლ ფარნიჩარ ინქ, მანჩესტერ ვუდ, ფანჩერჩეარ და სხვა.

ორგანიზაცია LEED-ის (*Leadership in Energy and Environmental Design*) მოთხოვნების მიხედვით, მდგრადი მასალები, ეს არის მასალები, რომლებიც სწრაფად განახლებადი რესურსებიდან მზადდება, არის ძალზე გამძლე, გადამუშავებას ექვემდებარება და მცირე რაოდენობით მავნე ნივთიერებებს გამოყოფს. განახლებადი რესურსები და პროდუქცია ან ხელოვნურადაა გამოზრდილი ან ბუნებრივ პირობებში იმდენი იზრდება, რომ მისი განადგურების საშიშროება არ არსებობს. მასალის არჩევისას გათვალისწინებული უნდა იყოს როგორც გარემოსადმი მდგრადობა, ასევე ეკონომიკური (ფასი, ხელმისაწვდომობა) და სოციალური (თერმული კომ-ფორტი, სიმყარე, გამძლეობა) ასპექტები.

გარემოსადმი პასუხისმგებელ დიზაინს ადამიანისა და ბუნების ურთიერთობა ჰარმონიაში მოჰყავს, ამ ურთიერთობაში ადამიანის პასუხისმგებლობის დონეს უფრო მაღლა წევს და ეკოლოგიური მდგრადობის შენარჩუნების აუცილებელი ფაქტორია.

Annotation

“Environmentally responsible design” includes sustainable design and green design. The term sustainable design for the built environment is used interchangeably with green design. However, there is a subtle difference. The green design often implies an interest in design that protects people’s health and well-being while sustainable design also protects the global environment and the world’s ecosystems for future generations.

Sustainable Design is the philosophy of designing physical objects, the built environment, and services to comply with the principles of social, economic, and ecological sustainability. The intention of sustainable design is to eliminate negative environmental impact completely through skillful, sensitive design. Manifestations of sustainable design require no non-renewable resources, impact the environment minimally, and connect people with the natural environment. A dynamic balance between economy and society, intended to generate long-term relationships between user and object/service and finally to be respectful and mindful of the environmental and social differences. Sustainable Design is mostly a general reaction to global environmental crises, the rapid growth of economic activity and human population, depletion of natural resources, damage to ecosystems, and loss of biodiversity. Sustainable design is used in areas such as architecture, landscape planning, graphic

design,also in interior designand furniture design. Many American designer companies are creating contemporary eco-friendly furniture: Urban woods, Vermont wood studios, EcoVet, Urban Green, *Sustainable Furniture, Inc., Manchester wood, Fancherchair and etc.*

“Environmentally responsible design” makes relations between man and nature harmonious, increasing humans responsibility towards nature.

ამერიკისმცოდნეობის XVIII საერთაშორისო კონფერენცია

The 18th Annual International Conference on American Studies

აუტიზმისა და აუტისტური სპექტრის მქონე ადამიანის განწყობის მართვის პრინციპები გარემოს დიზაინის საშუალებით (ფერი, განათება, ინტერიერი, ექსტერიერი, აკუსტიკა, ავეჯი, გეგმარება)

Urban-social model of disability,as one of the major oppportunity for disabled people, to adapt to the urban environment

ასოცირებული პროფესორი მარიკა ფოჩხუა;

Associate professor M. Pochkhua

ანოტაცია

2007 წლის 18 დეკემბერს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 2 აპრილი აუტიზმის შესახებ ინფორმაციის გავრცელების მსოფლიო დღედ გამოაცხადა. ამ დღის აღნიშვნას აუტიზმის მზარდი სტატისტიკა განაპირობებს, რაც მსოფლიოს მასშტაბით ათობით მილიონ შემთხვევას უტოლდება. არსებული სტატისტიკის მიხედვით აუტიზმი მსოფლიოში 100-დან 1 ადამიანს აქვს. ამასთან, აუტიზმი 4-5-ჯერ უფრო ხშირია მამაკაცებში, ვიდრე ქალებში.

ამერიკის შეერთებული შტატების დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრის მონაცემებით, 2012 წლისთვის აუტიზმის სპექტრის დარღვევის სიხშირემ 88 ბავშვში 1-ს მიაღწია, აქედან ბიჭებში ეს მდგომარეობა 5-ჯერ უფრო ხშირად გვხვდება გოგონებთან შედარებით. სამწუხაროდ, საქართველოში არ არსებობს აუტიზმის გავრცელების ზუსტი მაჩვენებლები. ერთადერთი კვლევა, რომელიც აუტიზმის გავრცელების მიახლოებით

სურათს იძლევა, 2007-2009 წლებში ჩატარდა ბავშვთა ნევროლოგთა და ნეიროქირურგთა ასოციაციის მიერ. რომლის მიხედვით, ყოველ 110 ბავშვზე 1-ს აუტიზმი ან აუტიზმის სპექტრის დარღვევა აღენიშნება, რაც ბავშვთა პოპულაციაში სულ მცირე აუტიზმის 7000 შემთხვევას ნიშნავს.

თუ სტატისტიკურ მონაცემებს გავითვალისწინებთ საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე აუტიზმის მქონე პირთა გარემოში ადაპტირების საკითხი მეტად მნიშვნელოვანია და მასზე მორგებული გარემოს დაგეგმარება განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს.

უკვე დიდი ხანია რაც აღნიშნულმა პრობლემამ მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა საერთაშორისო საზოგადოების, განსაკუთრებით კი ამერიკული ყოფიერების დღის წესრიგში.

საქართველოში აუტიზმის თუ აუტისტური სპექტრის მქონე პირთა სრულფასოვანი ადაპტაციის საკითხი საკმაოდ მწვავედ დგას. ზარალდებიან არა მხოლოდ კონკრეტული პიროვნებები, არამედ მთელი საზოგადოება, რომელიც მათი სახით დიდ რესურსს კარგავს.

ზემოთქმული ცხადჰყოფს, რომ მათი რესურსების გამოყენების თანამედროვე სპეციფიკა ურბანული პოლიტიკის ახლებურ გააზრებას მოითხოვს, რაც თავის მხრივ მშენებლობის, არქიტექტურული საქმიანობის, ქალაქთმშენებლობითი რეგულირების კონტექსტში მოიაზრება.

ჩვენი მიზანია ყურადღება გავამახვილოთ ქართულ რეალობაში ამ კუთხით არსებულ მნიშვნელოვან პრობლემებზე, რომელთა წარმოჩენისა და ამერიკული გამოცდილების, ანალოგების გაანალიზების, შეჯერების ფონზე ტექნიკურ მეცნიერებათა თანამედროვე მიღწევების დახმარებით, შესაძლებელი გახდება გამოინახოს აუტიზმისა თუ აუტისტური სპექტრის მქონე პირთა შრომისა და ყოფაცხოვრების უფრო კომფორტული პირობები.

მოხსენებაში მიმოხილულია აშშ-ში უკვე განხორციელებული არქიტექტურული პროექტები, მათი დადებითი და ნაკლოვანი მხარეები.

Annotation

The urban environment planning, oriented for disabled people is getting particular actuality at the modern stage of the urban development. The problem for the disabled people has taken an important place for a long time in the international community, particularly in the existence of America. In Georgia this full-adaptation question has especially escalated for its social –economic crisis.

In many cases, limiting a person's ability derives not from only his own resources, but from the urban environments made from existing construction standards . It damages not only individual persons, but the whole society, that losing the great resources . The aforesaid shows that the use of their modern resources specific, requires a new awareness of the urban policies, which is considered in the context of building constructions, architectural practice and city planning regulations.

Our goal is to review the existing important problems in the urban areas of Tbilisi, to be possible to have more comfortable conditions to disabled people for their works and lives, which are mostly reached with the American experience, to analyze analogues with combining the recent advances in science and technical assistances.

he major actions also will be discussed in the report , which is implemented by Georgian specialists supported with American colleagues to protect human rights for the people, who have different types of disabilities.

ამერიკისმცოდნეობის XVIII საერთაშორისო კონფერენცია

The 18th Annual International Conference on American Studies
